საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 2726 2019 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

„საჩხერის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 ივლისის №1507 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საჩხერის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 ივლისის №1507 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საჩხერის მუნიციპალიტეტის ჩიხის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების სასმელი წყლის სისტემის მოწყობის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი

პროექტების ფონდიდან საჩხერის მუნიციპალიტეტს გამოუყოს 3 852 250 (სამი მილიონ რვაას ორმოცდათორმეტი ათას ორას ორმოცდაათი) ლარი.“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**